Human Resource
Recruitment Agency

დასაქმების სააგენტო ეიჩარი აცხადებს ვაკანსიას **უმცროსი ანალიტიკოსის** პოზიციაზე.

ორგანიზაცია ფუნქციონირებს 2006 წლიდან და სთავაზობს მომხმარებელს სხვადასხვა სახის მომსახურებას ადამიანური რესურსების სფეროში. საქმიანობის ძირითადი სფეროებია: განცხადებების ვებ-გვერდი (საქართველო, აზერბაიჯანი, ყაზახეთი) რეკრუტინგი, კადრების მოძიება/შერჩევა და აუთსტაფინგი.

თუ დაინტერესბული ხართ ახალი ტექნოლოგიებით, გსურთ რომ წარმატებულად დაიწყოთ კარიერა, გაეცნოთ თანამედროვე ორგანიზაციების სტრუქტურასა და მუშაობის პრინციპს, თვლით რომ ხართ მოტივირებული, განვითარებაზე ორიენტირებული პიროვნება. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ ვაკანსიას და დაინტერესების შემთხვევაში გამოეხმაუროთ.

ძირითადი მოვალეობები:

- სტეიკჰოლდერებთან, შიდა მომხმარებელთან და პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტის გუნდთან მუდმივი კომუნიკაცია
- ბიზნესის მოთხოვნების და მომხმარებლების საჭიროებების შესაბამისად დეველოპმენტის გუნდისთვის ამოცანის ჩამოყალიბება, mockup-ების მომზადება და დიზაინერთან მუშაობა
- ახალი ფუნქციონალის არსებულ სისტემაზე გავლენის შეფასება და პოტენციური პრობლემების იდენტიფიცირება
- ფუნქციონალის დოკუმენტირება
- ფუნქციონალის ტესტირებაში და შიდა მომხმარებლების ტრენინგში მონაწილეობის მიღება
- დარგის სიახლეებისთვის მუდმივი თვალყურის დევნება

მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება, სასურველია ბიზნეს ადმინისტრირების ან ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით
- სასურველია შეხება მათემატიკასთან (სკოლა, ოლიმპიადები, კურსები, etc.)
- სამუშაო გამოცდილება არ არის სავალდებულო, თუმცა ჩაითვლება უპირატესობად
- სამუშაო გამოცდილების არარსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება უნივერსიტეტის პროექტებში და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობას
- აუცილებელია ინტერესი ციფრული პროდუქტების მიმართ, სასურველია UX პრინციპების საბაზისო ცოდნა
- ენების ცოდნა: ქართული (მშობლიური), ინგლისური (მინიმუმ B2)

პიროვნული თვისებები:

- ანალიტიკური აზროვნების უნარი
- კარგად განვითარებული ტექნიკური უნარ-ჩვევები
- სიახლეებისა და ახალი ტექნოლოგიების სწრაფად ათვისების უნარი
- თვითგანვითარებისკენ სწრაფვა
- აზრის მკაფიოდ გადმოცემის უნარი

თუ თვლით, რომ აკმაყოფილებთ ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს, დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი რეზიუმე ელ-ფოსტაზე: project13@hr.ge

<u>გთხოვთ, სათაურის ველში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება</u>

გისურვებთ წარმატებებს!